

ქართული ლიტერატურა და შუა საუკუნეების კულტურის ისტორია*

მსურს ამთავითვე მოგახსენოთ: ჩემი მიზანი არაა წარმოგიდგინოთ ვრცელი მოხსენება, რომელიც ახლახან მოსმენილი ორი ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ უფერული გამოჩნდებოდა. მსურს მხოლოდ, არ დავარღვიო ჩვენი სხდომის დღის წესრიგი, რომელშიც სპარსეთთან ერთად სომხეთი და საქართველოც ფიგურირებენ და რამდენიმე წამით თქვენი ყურადღება ქრისტიანულ აღმოსავლეთზე შევაჩერო. ვგულისხმობ ადრე შუა საუკუნეების არაბიზანტიურ ქრისტიანულ აღმოსავლეთს, ასე ვთქვათ, პერიოდს ჯვაროსანთა ლაშქრობამდე. დარწმუნებული ვარ, არავინ უსაყვედურებს ქრისტიანულ აღმოსავლეთს, რომ იყენებს უდავოდ კუთვნილ უფლებას და ჩვენი კონგრესის ყურადღების ცენტრში ექცევა (ტაში). სწორედ საქართველო და მისი ლიტერატურაა ყველაზე ნაკლებად შესწავლილი აღმოსავლეთ საქრისტიანოსადმი მიძღვნილ გამოკვლევებში და მეც მათ შესახებ მინდა ვისაუბრო. სურვილიც რომ მქონოდა, ალბათ შეუძლებელი იქნებოდა წამეკითხა მოხსენება კავკასიის ქვეყნების ურთიერთობაზე დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ჯვაროსანთა ლაშქრობამდე. რამდენადაც ვიცი, ეს ურთიერთობები დღემდე სათანადოდ არაა შესწავლილი. ეს არა მხოლოდ იმის შედეგია, რასაც პ. პეტერსი გაბედულად უწოდებს „სკანდალურ დავიწყებას, რომელსაც დასავლეთის ერუდიციამ მისცა ქართული ლიტერატურა“; არამედ იმასაც, რომ ქართველოლოგია დიდხანს რჩებოდა იმ მეცნიერთა მონოპოლიად, რომელთა გვარიც – ოვ-ზე ან შვილი-ზე მთავრდება და იმათი ყურადღებაც, ბუნებრივია, საგანგებოდ არ იყო მიმართული, გავხედავდი მეთქვა, დასავლეთისკენ. ალბათ იმიტომაც, რომ უშუალო კავშირები, გარდა ბერძნულ სამყაროსთან არსებულ კავშირებისა, საქართველოსა და დასავლეთს

* La littérature géorgienne et l'histoire culturelle du moyen age, Accademia Nazionale dei Lincei. Fondazione A. Volta. Atti dei Convegni (1957, p. 431-437); G. Garitte, Scripta Disiecta, 1941-1977, I, 1980, pp. 255-261.

შორის ადრე შუა საუკუნეებში ხშირი არ ყოფილა. პაპი წმ. გრეგუარ დიდის (590-604) ეპისტოლე კვირიკე ეპისკოპოსისა და იბერიის კათოლიკური ეკლესიის სხვა ეპისკოპოსებისადმი წარმოადგენს პასუხს პაპისადმი დასმულ შეკითხვაზე – უნდა მოინათლონ თუ არა ნესტორიანელები, რომლებიც კათოლიკურ ეკლესიაში მოდიან? პირი, რომელმაც „იბერიის“ ეპისკოპოსთა შეკითხვა წამოიღო, იერუსალიმის გავლით რომში ჩავიდა და იქ სარეკომენდაციო წერილი დაკარგა: „ეკლესიის დასაბამიდან ნეტარ პეტრე მოციქულამდე თქვენი მომავალი საძმოს მიერ მითვისებული ეპისტოლეები ჩვენგან იყო წაღებული, ხოლო იერუსალიმში განადგურებული იყო სხვათა მიერ.“ მინაწერი „იბერია“ აღნიშნავს კავკასიის (და არა ესპანეთის) იბერიას, რასაც სხვათა შორის, ადასტურებს თვით შეკითხვის საგანი და წერილის პირველი ფრაზა: „ეს მადლი ხანმოკლეა და იმას, რაც დაყვეს, ადგილს მიუჩენს ეკლესია.“¹ ე.ი. სრული საფუძველი გვაქვს, „კვირიკე ეპისკოპოსი“, რომელსაც გრეგუარ დიდი პასუხობს, გავაგიგოთ საქართველოს კათალიკოს კირიონთან, რომლის ზეობის დროსაც, 608-609 წწ. მოხდა განხეთქილება საქართველოს ეკლესიასა და სომხეთის მონოფიზიტურ ეკლესიას შორის.² IX ს-ში კახელი ბერი, დიდი მოგზაური წმ. ილარიონი († 830 წ.), რომელმაც ორჯერ იმოგზაურა საქართველოდან პალესტინაში, რომში ჩავიდა და იქ ორი წელი დაჰყო. ამას მოგვითხრობს წმ. ილარიონის ცხოვრების ქართული რედაქცია, რომლის ასლიც დათარიღებულია 1074 წლით. იგი წმინდანის მოწაფეთა მოგონებებს უნდა ემყარებოდეს და ბერძნულ ენაზე შედგენილია პროტოასკრიტიკისა და ფილოსოფოსის, ბერი ბასილის მიერ.³ მამა მ. თარხნიშვილმა, რომელმაც ვატიკანის ბიბლიოთეკის Studi e Testi-ში გამოაქვეყნა კ. კეკელიძის მიერ ქართულ ენაზე გამოცემული „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ გერმანული თარგმანი,⁴ წმ. ილარიონის რომში ყოფნა დააკავშირა წმ. პეტრეს ლიტურგიის ქართულ თარგმანთან, რომელიც იმავე ეპოქით თარიღდება და შესაძლოა ლათინური ტექსტიდან მომდინარეობდეს.⁵ არა მგონია დღეისათვის ცნობილი იყოს საქართველოსა და დასავლეთის უშუალო კავშირების სხვა შემ-

1 P. Edwald, L.M. Hartmann, Gregorii I Papae Registrum Epistolarum, II (“Mon. Germ. Hist.” Epist. II), Berlin 1899, Ep. XI, 52, p. 325-327.

2 P. Goubert, Byzance avant l’Islam, I, Paris, 1951, p. 238-246.

3 P. Peeters, S. Hilarion d’Iberia, Analecta Bollandiana, 32, 1913, pp. 236-269. „ცხოვრების“ ქართული რედაქციის ლათინური თარგმანი იხ. p. 243-269. რომში ყოფნის შესახებ იხ. p. 256-257.

4 M. Tarchnišvili, Geschichte der kirchlichen georgischen Literatur (Studi e Testi, 185), Rome, 1955.

5 იქვე, p. 39.

თხვევები ადრე შუა საუკუნეებში. მაგრამ, ეს ორი შემთხვევა – წმ. გრეგუარ დიდის ეპისტოლე და ილარიონის მოგზაურობა, დაფიქრებას მოითხოვს და გამოკვლევას საჭიროებს. ცნობილია, რომ მოგვიანებით, XI ს-დან ქართველები მჭიდროდ დაუკავშირდნენ დასავლელებს ათონის მთაზე. ეს ფაქტი კარგადაა ცნობილი და მასზე აღარ შეეჩერდები. ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ ორ სერიოზულ ლიტერატურულ პრობლემაზე, რომლებიც ქართველებს ეხება. ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომში განსვენებულმა ჰონიგმანმა სენსაციური პასუხი გასცა დიონისე არეოპაგელის თხზულებებში საუკუნეთა მანძილზე არსებულ გამოცანას.⁶ ამ თხზულების ავტორი, რომელმაც დიდი გავლენა იქონია როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ შუა საუკუნეებზე, ყოფილა ცნობილი ქართველი, პეტრე იბერი, ძე იბერთა მეფისა, რომელიც თორმეტი წლის ასაკში მძევლად გაუგზავნიათ თეოდოზ II – კარზე. 452 წ. იგი მაიუმის ანტიქალკედონიტი ეპისკოპოსი გამხდარა ღაზაში და 491 წლის 1 დეკემბერს გარდაცვლილა. დროის სიმცირე საშუალებას არ მძღვეს მოგიტხროთ როგორ შეძლო ჰონიგმანმა ამ ქართველი უფლისწულისათვის მიეკუთვნებინა ფსევდო-დიონისეს ნაწერები და მიმოვიხილო ის შენიშვნები, რომლებიც კრიტიკამ წამოუყენა მის არგუმენტებს. მოგახსენებთ მხოლოდ, რომ ჰონიგმანის ნაშრომისადმი მიძღვნილი გამოკვლევების დასკვნები უარყოფითია. ჰონიგმანის მიერ წამოყენებული იდენტიფიკაცია მიუღებელია და საქართველომ უარი უნდა თქვას პრეტენზიაზე, რომ ქრისტიანულ სამყაროს მისცა არეოპაგეტიკის ავტორი. როგორც ჰაუშერი აღნიშნავს (p. 260), ჰონიგმანის ნაშრომიდან გვრჩება ის, რომ „ფსევდო-დიონისე სწორედ იმ გარემოში იმალება, რომელშიაც მას ჰონიგმანი ეძებდა“. ჰონიგმანის ვარაუდს საქართველოში უფრო მეტი პატივით მოეკიდნენ, ვიდრე დასავლეთში. 1946 წ. როცა მან თავისი მოსაზრება პირველად გამოთქვა ნიუ-იორკში გამართულ კონგრესზე, არ იცოდა, რომ რამდენიმე წლით მასზე ადრე ქართველმა მეცნიერმა შ. ნუცუბიძემ ფსევდო-დიონისე და პეტრე იბერი გააიგივა ნაშრომში, რომელიც 1942 წ. გამოაქვეყნა და მარის ინსტიტუტის „იზვესტიის“ XIV ტომში (1944) სტატიის სახითაც დაბეჭდა (გვ.1-55). 1952 წ. როცა ჰონიგმანმა თავისი ნაშრომი დასტამბა, იგი ნუცუბიძის შრომას მხოლოდ მელიქსედ-ბეგის ანგარიშით იცნობდა (Визант. Врем. 27, 1949, стр. 373-375). ჰონიგმანის ნაშრომის რუსული თარგმანი გასულ წელს გამოქვეყნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში, ტ. 59 (1955), გვ. 1-78. თარგმანი თვით ნუცუბიძეს ეკუთვნის და ახლავს მისი და ს.

6 E. Honigmann, Pierre l'Iberien et les écrits du pseudo-Denys l'Aréopagite ("Académie Royale de Belgique, Cl. Des Lettres", Mémoires in-8, XVII, 3), Bruxelles, 1952.

ყაუხჩიშვილის შესავალი და შენიშვნები „ქართლის ცხოვრების“ უახლეს გამოცემაში, რომელიც დაისტამბა თბილისში, 1955 წ. იმავე ყაუხჩიშვილის მიერ და რომელსაც თბილისელი პროფესორის ა. შანიძის წყალობით გავეცანი, ავტორი სრული სახით წარმოგვიდგენს (გვ. 030-034) ნუცუბიძისა და ჰონიგმანის დებულებას (პეტრე იბერის ცხოვრებასთან დაკავშირებით, რომელიც ვახტანგ VI-მ „ქართლის ცხოვრებაში“ ჩართო). ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, რომ ეს დებულება აღიარებულია საბჭოთა ოფიციალური მეცნიერების მიერ და შეტანილია დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ტ. 32 (1955), სტ. 587-ში. აცხადებენ, რომ ქართველმა კაცმა შუა საუკუნეებში საბერძნეთსა და მთელ დასავლეთს გააცნო „შუა საუკუნეების ყველაზე გავრცელებული და პოპულარული წიგნი“, „ბალაჰვარისა და იოდასაფის რომანი“. საკითხი, თუ რა გზით მიაღწია ბუდისტური წარმომავლობის ამ „სულისმარგებელმა რომანმა“ ბიზანტიურ სამყარომდე გადაჭრილად ჩაითვალა მას შემდეგ, რაც 1931 წ. პ. პეეტერსმა მიიჩნია, რომ ბიზანტიური ლიტერატურა ბერძნულ რომანს აზიარა ცნობილმა ქართველმა მთარგმნელმა, ექვთიმე მთაწმიდელმა († 1028), რომელიც ათონის მთის ივირონის მონასტრის დამაარსებლის ძე და მიმდევარი იყო.⁷ ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებულ პ. პეეტერსის ნაშრომში⁸ წერია, რომ „ექვთიმე მთაწმიდელმა ბუდისტური წიგნი ქრისტიანულ რომანად გადააკეთა და აქცია იგი „ბალაჰვარისა და იოდასაფის სულისმარგებელ რომანად“, ბიზანტიური აგიოგრაფიის იმ მარგალიტად, რომელსაც ძველი ფრანგული პოეზიით დაწყებული, მეტოქეობა დაუწყო მთელმა ევროპულმა თუ აღმოსავლურმა ლიტერატურამ. ელინიზმმა ხომ არ გადასცა ევროპას ქართული აგიოგრაფიის მიერ ცივილიზაციის ისტორიაში დატოვებული კვალი.“ ცნობილმა მიუნხენელმა ბიზანტინისტიმა ფრანც დოელგერმა თავის სენსაციურ ნაშრომში განაცხადა: დავადგინე, რომ ბერძნული რომანი იოანე დამასკელს (VII-VIII სს.) ეკუთვნის, როგორც ეს ტრადიციულად იყო მიღებული XIX ს-ის მიწურულამდე. ჩემი ეს თვალსაზრისი ვერ შეარყია ზოტენბერგისა (1887 წ.) და პეეტერსის მტკიცებებმა, და სავსებით დადასტურდა რომანის ხელნაწერი ტრადიციისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.⁹ დოელგერს ჯერ მოჰყავს რომანის ბერძნული ვერსიის ცნობილ ხელნაწერთა ნუსხა: X-XVIII სს. გადაწერილი 145 ხელნაწერის სია, შემდეგ

7 P. Peeters, La première traduction latine de “Barlaam et Joasaph” et son original grec, “Analecta Bollandiana, 49, 1931, p. 276-312.

8 P. Peeters, Orient et Byzance. Le tréfond oriental de l’hagiographie byzantine (Subsidia Hagiographica, 26), Bruxelles, 1950, p. 164.

9 F. Dölger, Der griechische Barlaam-Roman ein Werk des H. Johannes von Damaskos (Studia Patristica et Byzantina, I, Ettal, 1953.

იგი განიხილავს თხზულების სათაურებს 95 ხელნაწერში და ადგენს მის პირველად სათაურს. ამ გამოკვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი გვიჩვენებს, რომ ხელნაწერებს Marc. Gr VII, 26 (XII და არა XI ს.) და Paris gr. 1771 (XV ს.) აქვთ ლემები, რომლებიც მოიხსენიებენ ექვთიმე იბერს და წარმოადგენენ პეეტერსის დასაბუთების ერთ-ერთ ელემენტს. ისინი გვხვდება ბერძნული რომანის ბევრ ხელნაწერში და მათ დამოწმებას არავითარი ღირებულება არა აქვს „ბალაჰვარის“ ბერძნული რედაქციის წარმომავლობის პრობლემის გადასაჭრელად. დოელგერის გამოკვლევიდან გამომდინარე უნდა ჩავთვალოთ, რომ ხელნაწერი ტრადიციის ზოგადი შესწავლა აშკარად ეწინააღმდეგება პეეტერსის ვარაუდს.

მიუხედავად ამისა, კვლევა მაინც გაგრძელდა. დოელგერის დებულებას გარკვეული წინააღმდეგობებიც შეხვდა. კერძოდ, ბოლანდის-ტმა მამა ჰალკინმა მნიშვნელოვანი მიმოხილვა მიუძღვნა ამ საკითხს (Anal. Boll. 71, fasc. 3-4, 1953, p. 475-480) და განაცხადა, რომ არ აპირებს „შეუპოვრად დაიცვას პეეტერსის თეორია“, მაგრამ დოელგერის არგუმენტაციასაც ძალზე ფრთხილად ეკიდება. როგორც იგი აღნიშნავს, დოელგერი ვარაუდობს, რომ 60-ზე მეტი ხელნაწერის სათაურში ავტორის სახელი ამოიკითხა, მაშინ როდესაც, „ბალაჰვარის“ სათაური უბრალოდ მიუთითებს, რომ თხზულება ინდოეთიდან იერუსალიმში საბაწმიდელ ბერს იოანეს ჩამოუტანია და არა იმას, რომ ეს ბერი ბერძნული რედაქციის ავტორი, მითუმეტეს იოანე დამასკელია. „იოანე დამასკელი ინდოეთიდან წიგნს ვერ ჩამოიტანდა, რადგან იქ არასოდეს ყოფილა.“ ე. ი. არავითარი ღირებულება არა აქვს ლემას, რომელიც არ ასახელებს დამასკელს, ან თუ ასახელებს – დაუჯერებელ სიცრუეს ამბობს (გვ. 479-480). ამაზე ვუპასუხებდით, რომ პეეტერსის მიერ დამოწმებული ვენის ხელნაწერის სათაურში აღნიშნულია ὍΠΙΕΡ ΕΥΘΥΜΙΟΥ (ექვთიმეს შესახებ) და არა ის, რომ რომანი ექვთიმემ თარგმნა. შეუძლებელია ამის ჩათვლა „ბალაჰვარიანის“ ავტორზე მითითებად, რადგან აშკარაა, რომ ექვთიმეს არ შეეძლო ბერძნული რომანის თარგმნა იმ სახით, როგორითაც მას ბერძნულ ხელნაწერში ვკითხულობთ. დოელგერის ძირითადი არგუმენტი შინაგან კრიტიკას ემყარება. „იოანე დამასკელის ლექსიკის, სტილისა და იდეების კრიტიკული შესწავლა მას საშუალებას აძლევს ბერძნულ რომანში დიდი რაოდენობით გამოავლინოს გამოთქმები, კონსტრუქციები და მთელი ფარგმენტებიც კი, რომლებიც რიგ შემთხვევაში სიტყვასიტყვითაა ამოღებული წმინდა დოქტორის ავთენტური თხზულებებიდან“ (ჰალკინი აღიარებს, რომ ეს პარალელები შთამბეჭდავია, მაგრამ „სულაც არ გამორიცხავს, რომ განათლებულ ბერძენს შეეძლო ისე ესაზ-

რდოვა დამასკელის ნაშრომებით, რომ ზეპირადაც სცოდნოდა ისინი და ხშირად მოეჩანა მათი ციტატები თუ რემინისცენციები“ (გვ. 478). პირადად ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია დოელგერის მიერ დამასკელის თხზულებებსა და „ბალაჰვარიანში“ შენიშნული თავისებურებების თუ ლიტერატურული ხერხების ახსნა. ცოტა ხნის წინ თავად დოელგერი აღნიშნავდა (Byz. Zeitsch. 48, 1955, p. 215): „ვერ დავეთანხმები აზრს, თითქოს ამ ზოგადი გამოთქმებით შეიძლება სარწმუნოება დაკარგოს „ბალაჰვარის რომანსა“ და სხვადასხვა ხელნაწერებში გაფანტულ იოანე დამასკელის თხზულებებში არსებულმა, ძირითადად სიტყვა-სიტყვითმა დამთხვევებმა. ასეთი საპირისპირო აზრის გამართლება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ ჩემ მიერ „ბალაჰვარიანსა“ და იოანე დამასკელის თხზულებებში აღნიშნული პარალელების ნახევარი მაინც აღმოჩნდებოდა სხვა ბერძენ ავტორებთან.“ რადგან ჰონიგმანს ეძღვნებოდა, დოელგერის წიგნმა ქართველ მეცნიერთა ყურადღებაც მიიპყრო. რომში ხელში ჩამივარდა თბილისური ჟურნალ „მნათობის“ 1956 წლის მარტის ნომერი, რომელშიაც დაბეჭდილია შ. ნუცუბიძის წერილი: „ქართული ლიტერატურისა და კულტურის პრობლემები თანამედროვე დასავლურ მეცნიერებაში“ (გვ. 144-154). ავტორს მოჰყავს დოელგერისა და მისი მოწინააღმდეგეების თეორიები და სხვა, გასაოცარ მოსაზრებას გვთავაზობს: ქართული რომანი „სამოთხის“ ავტორს, იოანე მოსხს (VII ს-ის დასაწყისი) უნდა ეკუთვნოდესო. რადგან ჩვენ მოკლებული არა ვართ პატივს, ბედნიერებასა და სიამოვნებას ჩვენ შორის იმყოფებოდეს ბ-ნი დოელგერი, ვფიქრობ, გამოვხატავდი კონგრესის ერთსულოვან სურვილს, თუ ვთხოვდი, აგვიხსნას მისი დღევანდელი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი. თუ ბატონი პრეზიდენტი ნებას დამრთავს და ისიც თანახმა იქნება, მე სიამოვნებით დავუთმობდი ამ ტრიბუნას.

*ფრანგულიდან თარგმნა
ცისანა ბიბილეიშვილმა
კავკასიის უნივერსიტეტი*